ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N09

2023 წლის 25 იანვარი
ქ. ამბროლაური

ა(ა)იპ „სკოლისგარეშე სახელოვნებო სააღმზრდელო დაწესებულება ამბროლაურის უჩა ჯაფარიძის სახელობის სამხატვრო სკოლის“ დირექტორის 2022 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის N01 დადგენილებით დამტკიცებული „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის“ 143-ე მუხლის შესაბამისად ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სკოლისგარეშე სახელოვნებო სააღმზრდელო დაწესებულება ამბროლაურის უჩა ჯაფარიძის სახელობის სამხატვრო სკოლის“ დირექტორის ანგარიში 2022 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ შეფასდეს დამაკმაყოფილებლად (ანგარიში თან ერთვის).
2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ამბროლაური, კოსტავას ქუჩა N13).
3. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: ასლან საგანელიძე

ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო სააღმზრდელო დაწესებულება ამბროლაურის უჩა ჯაფარიძის სახ. სამხატვრო სკოლის ანგარიში 2022 წელში გაწეული საქმიანობის შესახებ.

უჩა ჯაფარიძის სახელობის სამხატვრო სკოლაში იანვრის არდადეგების შემდეგ, სასწავლო პროცესი 2022 წლის 10 იანვრიდან გავაგრძელეთ,თუმცა ეს შეეხო მხოლოდ ადმინისტრაციას,რადგან მოსწავლეთა არდადეგების გაგრძელებისა და პანდემიასთან დაკავშირებული ერთკვირიანი იზოლაციის გამო,პედაგოგები 24 იანვრიდან გამოცხადნენ.

12 იანვარს შექმნილი საგანგებო მდგომარეობის გამო,მოვიწვიე მრჩეველთა საბჭოს რიგგარეშე სხდომა და განვიხილეთ სწრაფად მოსაგვარებელი საკითხები,რაც მდგომარეობდა შემდეგში: სკოლის ერთ-ერთი პედაგოგის და ასევე მრჩეველთა საბჭოს ერთ-ერთი წევრის ტურფა დონაძის გარდაცვალების გამო,სკოლაში მივიღეთ სახვითი ხელოვნების ახალი პედაგოგი სერგო ბოიახჩევი; ხოლო მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობაში იგი ჩავანაცვლეთ ჭრა-კერვის სპეციალისტ ნინო გორდიაშვილის წევრობით.

არსებული პანდემიის გამო, ვერ განვახორციელეთ პროგრამით გათვალისწინებული გასვლითი ღონისძიება,რომელიც უახლოესი მომავლისთვის გადავდეთ. 27 იანვარს კი,თვის ბოლო კვირაში, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ყველა ჯგუფში ჩატარდა შიდა საკლასო ე.წ. ,,მინი" გამოფენა,რაც ერთგვარი წამახალისებელი სტიმულის მომცემია მოსწავლეებისთვის.

2022 წლის დასაწყისისთვის სამხატვრო სკოლის მოსწავლეთა საერთო რაოდენობა 63-ს შეადგენდა,რომელიც ჯგუფების მიხედვით ასეა გადანაწილებული:

სახვითი ხელოვნება:1-ლი ჯგ. 16 მოსწ.მე-2 ჯგ. -7 მოსწ.მე-3ჯგ.1 მოსწ.მე-4ჯგ.4მოსწ. ტიხრული მინანქარი: 1-ლი ჯგუფი 2 მოსწ. მე-2 ჯგუფი 2 მოსწ. მე-3ჯგ.-3 მოსწ. თექა,ჭრა-კერვა: 1-ლი ჯგ.3 მოსწ. მე-2ჯგ. 3 მოსწ. მე-3 ჯგ.1 მოსწ.მე-4ჯგ.-1 მოსწ. ხალიჩა-ფარდაგი: 1-ლი ჯგ.3 .მოსწ. მე-2 ჯგ.3 მოსწ. მე-4 ჯგ.4 მოსწ. ხატწერა: 1-ლი ჯგ.3 მოსწ. მე-2 ჯგ. 2 .მოსწ. მე-4 ჯგ. 5 მოსწ.

თებერვლის თვეში სამხატვრო სკოლაში სასწავლო პროცესი შესაბამის რეჟიმში გავაგრძელეთ. 21 თებერვალს მოვიწვიე მრჩეველთა საბჭოს მორიგი სხდომა განახლებული შემადგენლობით. 24 თებერვალს კი სკოლის საგამოფენო დარბაზში მოვაწყვეთ სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული გამოფენა, რომელშიც ერთობლივად მონაწილეობა მიიღო გამოყენებითი ხელოვნების ჯგუფების მოსწავლეებმა და პედაგოგებმა.გამოფენას შეზღუდული რაოდენობით ესწრებოდნენ სკოლის პედაგოგები და მშობლები.თვის ბოლო კვირაში კი ჯგუფებში ჩატარდა ტრადიციული შიდა საკლასო გამოფენა.

მარტის თვიდან სკოლაში მუშაობა ჩვეული რითმით გავაგრძელეთ. მეცადინეობები ორივე განყოფილების ყველა ჯგუფში სასწავლო გეგმის მიხედვით ჩავატარეთ. 22 მარტს მოვიწვიე მრჩეველთა საბჭოს მორიგი სხდომა,რომელზეც საბჭოს წევრებთან შეთანხმებით, შევიმუშავე სკოლის სამომავლო გეგმები და შესასრულებელი სამუშაოები.

25 მარტს სკოლის საგამოფენო დარბაზში მოვაწყვეთ სახვითი ხელოვნების ჯგუფის ერთ-ერთი წარჩინებული მოსწავლის გიგი გიორგობიანის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილი იყო გრაფიკული და ფერწერული ნამუშევრები. გამოფენას ესწრებოდნენ მოსწავლის პედაგოგები და მეგობრები. 31 მარტს ყველა ჯგუფში ჩატარდა შიდა საკლასო მინი გამოფენები.

აპრილის თვის სასწავლო პროცესი დასახული სასწავლო პროგრამის მიხედვით გავაგრძელეთ სამხატვრო სკოლაში. 18 აპრილს მოვიწვიე მრჩეველთა საბჭოს რიგითი სხდომა,თუმცა მანამდე, 7 აპრილს ჩვენი სკოლის პედაგოგ-მოსწავლეებმა მონაწილეობა მივიღეთ ქ.ონში გამართულ ფოლკლორის ეროვნულ ფესტივალში და წარვადგინეთ ფოლკლორის თემასთან მისადაგებული ნამუშევრები.

22 აპრილს სკოლის სალონურ გარემოში მოვაწყვეთ წარჩინებულ მოსწავლეთა გამორჩეული ნამუშევრების გამოფენა, რომელსაც სკოლის პედაგოგები და მშობლები ესწრებოდნენ.

მაისის თვე კვლავაც სასწავლო პროგრამის მიხედვით შემუშავებული გეგმით გავაგრძელეთ სკოლაში. 16 მაისს მოვიწვიე მრჩეველთა საბჭოს მორიგი სხდომა, რომელზე ძირითადად ვიმსჯელეთ 26 მაისის ღონისძიებისთვის საჭირო საკითხებზე და შევიმუშავეთ 1 ივნისის სამზადისის გეგმა. მანამდე კი ჩვენი სკოლის ნიჭიერმა უფროსკლასელებმა, მონაწილეობა მიიღეს სახვითი ხელოვნების მუზეუმის მიერ გამართულ ღონისძიებაში სახელწოდებით: ,,ჩვენ ასე ვხედავთ“,სადაც წარმოჩენილმა ნამუშევრებმა მოწონება დაიმსახურა დამთვარიელებლებში.

26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში, რომელიც ამბროლაურის ცენტრში საკმაოდ გრანდიოზული ფორმით გაიმართა, სამხატვრო სკოლის წარმომადგენლებმაც მივიღეთ მონაწილეობა და მოსწავლეების სხვა და სხვა ტიპის ნამუშევერთა ფერადი კუთხე წარმოვადგინეთ.

1 ივნისს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში, რომელიც სამხატვრო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე მოვაწყვეთ, წარმოდგენილი გვქონდა სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჯგუფების მოსწავლეთა საუკეთესო ნამუშევრები. ამასთანავე ბავშვებმა ფერადი ცარცებით ასფალტზე შეასრულეს თემატური ნახატები. ამ ღონისძიებით სოლიდარობა გამოვუცხადეთ უკრაინელ ბავშვებს და მშვიდობა ვუსურვეთ მათ.

9 ივნისს მოვიწვიე მრჩეველთა საბჭოს მორიგი სხდომა, რომელზეც გადავხედეთ ამ თვის ბოლომდე ჩასატარებელი ღონისძიებების მოსაგვარებელ საკითხებს.

სექტემბრის ბოლო რიცხვებში,როგორც წინა წლებში,ახლაც ვაგრძელებთ ტრადიციას და ჯგუფებში თითოეული პედაგოგი აწყობს შიდა საკლასო გამოფენებს,რომელიც მეტ სტიმულს აძლევს მოსწავლეებს წარმატებულად მუშაობაში.

ოქტომბრის თვიდან სამხატვრო სკოლა იყო სრულიად მობილიზებული და მომზადებული ახალი კონტიგენტის მისაღებად.პირველი ოქტომბრიდან ორივე განყოფილებაზე მივიღეთ პირველკლასელების ახალი ნაკადი,რომელთა რაოდენობამ 47-ს მიაღწია.მოსწავლეთა საერთო რაოდენობა ამ ეტაპზე 86-მდე ავიდა,აქედან სახვითი ხელოვნების ჯგუფში ირიცხება 48 ბავშვი,ხოლო გამოყენებითი ხელოვნების ჯგუფებში 38.

ახალი სასწავლო წლის დაწყებათან დაკავშირებით სკოლაში შევიძინეთ ბავშვებისთვის საჭირო სხვა და სხვა ინვენტარი: მერხები, სკამები,ტუმბოები,მოლბერტები და სხვა.ჯგუფებში ტარდება სასწავლო პროგრამით დაგეგმილი,ასაკისთვის შესაბამისი მეცადინეობები.

10 ოქტომბერს მოვიწვიე მრჩეველთა საბჭოს მორიგი სხდომა.

17 ოქტომბერს სკოლის საგამოფენო დარბაზში ჩავატარეთ გამოყენებითი ხელოვნების ჯგუფების მოსწავლეთა ნამუშევრების ერთობლივი გამოფენა,რომელშიც მონაწილეობდნენ თექა,ჭრა-კერვის,ტიხრული მინანქრის,ხალიჩა-ფარდაგის და ხატწერის ჯგუფების მოსწავლეები.

სასწავლო პროგრამით დაგეგმილი გასვლითი ღონისძიება ქ. თბილისში,საპატიო მიზეზის გამო, ჩანაცვლდა ცაგერში გამართული ღონისძიებით, რომელიც 22 ოქტომბერს ჩატარდა და ,,ლადოობის"დღესასწაულს მიეძღვნა, სამხატვრო სკოლამ წარვადგინეთ,როგორც სახვითი,ისე გამოყენებითი ხელოვნების ნამუშევრები.

თვის ბოლო კვირაში ყველა ჯგუფში ჩატარდა უკვე ტრადიციად დამკვიდრებული შიდა საკლასო გამოფენები,სადაც მოსწავლეებმა წარმოაჩინეს თვის საუკეთესო ნამუშევრებს.

ნოემბრის თვე სკოლაში ჩვეული სამუშაო რეჟიმით დაიწყო.მეცადინეობები სასწავლო პროგრამის მიხედვით ჩატარდა. 14 ნოემბერს მოვიწვიე მრჩეველთა საბჭოს რიგითი სხდომა.

21 ნოემბერს სკოლის სალონურ გარემოში მოვაწყვეთ ტიხრული მინანქრის სპეციალისტის გელა ბოჭორიშვილისა და მისი მოსწავლეების ნამუშევრების ერთობლივი გამოფენა,რომელზეც წარმოადგინეს ბოლო პერიოდში შესრულებული ნამუშევრები.

მოგეხსენებათ დეკემბერი წლის ბოლო,შემაჯამებელი თვეა და ამასთანავე წინა წაახალწლო პერიოდიც. 9 დეკემბერს მოვიწვიე მრჩეველთა საბჭოს რიგითი სხდომა,რომელზეც შევაჯამეთ განვლილი წლის მუშაობა და დავსახეთ სამომავლო გეგმები.

13 დეკემბერს დაგეგმილი გასვლითი ღონისძიება მოვაწყვეთ ქ. თბილისში,რომელიც გაიმართა ნათელა იამქოშვილის სახელობის ერთი მხატვრის მუზეუმში. გამოფენაში მონაწილეობის მიღება მოხდა მხატვართა ლიგისა და უჩა ჯაფარიძის სახ. სამხატვრო სკოლის ურთიერთშეთანხმების

საფუძველზე.ჩვენი სკოლის სამუშაო პროგრამა ითვალისწინებს რომ ახალი სასწავლო წლიდან შენარჩუნებული იქნას და კვლავაც გაგრძელდეს ეს კავშირები.

გამოფენაზე წარვადგინეთ სამხატვრო სკოლის ორი პედაგოგის ფერწერული ნამუშევარი და ხალიჩა-ფარდაგის ჯგუფის(პედ.ფიქრია ველიაშვილი)მოსწავლის მარიამ რეხვიაშვილის ფარდაგი. გამოფენაში მონაწილე ხელოვანებისთვის გამოიცა სპეციალური კატალოგი,რომელშიც დანარჩენ მხატვრებთან ერთად შეყვანილი იქნა სამხატვრო სკოლიდან წარდგენილი პედაგოგებისა და მოსწავლის ნამუშევრები.

22 დეკემბერს სამხატვრო სკოლის საგამოფენო დარბაზში მოვაწყვეთ სემესტრის შემაჯამებელი და ამასთანავე საახალწლო საკარნავალო გამოფენა-ღონისძიება,რომელშიც მონაწილეობას იღებდა მთელი სკოლის მოსწავლეები. გამოფენას ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები მუნიციპალიტეტის მერიიდან და გუბერნიიდან,რომელთა თანადგომასაც ყოველთვის ვგრძნობთ და სამომავლოდაც გამოგვიცხადეს მხარდაჭერა. ჩვენის მხრიდან კი გამოვხატავთ მადლიერებას.

ასევე მადლიერება მინდა გამოვხატო ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მიმართ,რომელთა დიდი თანადგომით სკოლაში მოგვარებული იქნა გაზიფიკაციის პრობლემა,რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სკოლის ფუნქციონირებისათვის.

ამრიგად,მინდა ავღნიშნო რომ სამხატვრო სკოლაში სამუშაო პროგრამით გათვალისწინებული საქმიანობები და დაკისრებული ვალდებულებები თითოეულმა თანამშრომელმა დადებითად შეასრულა. 2023 წლისთვის კვლავაც ვისახავთ სამომავლო გეგმებსა და ვალდებულებებს.

სამხატვრო სკოლის დირექტორი: /ნ.დოხნაძე/

Nestan Dokhnadze 04001010889

Digitally signed by Nestan Dokhnadze
Date: 2022.12.30 13:20:56

ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო სააღმზრდელო დაწესებულება ამბროლაურის უ.ჯაფარიძის სახ სამხატვრო სკოლის 2022წლის შესრულება					
	დასახელება	გეგმით	საკასო	ფაქტიური	შენიშვნა
	ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიღებული სახსრები (სუბსიდია)	69100	68173.14	68173.14	
	შრომის ანაზღაურება	60055	60055	60055	
	საქონელი და მომსახურეობა აქედან:	8265	7441.29	7441.29	
	შტატგარეშე ანაზღაურება	500	500	500	
	მივლინების ხარჯი	500	450	450	
	ინტერნეტ მომსახურების ხარჯი	900	834.19	834.19	
	კორპორაციული მობილური ტელეფონის ხარჯი	500	450.15	450.15	
	კომუნალური ხარჯი	1490	1488.8	1488.8	
	კადრების მომზ-გადამზ.კვალ.ამაღლ.სტაჟ.დაკ.ხარჯი	300	148	148	
	მცირე ფასიანი საოფისე ინვენტ.შეძენის ხარჯი	1000	999.95	999.95	
	სხვა დანარჩ.საქონ.მომსახ.გაწ.ხარჯი (სასწ.მასალები)	200	200	200	
	სანიტარული საგნებისა და საჭირო მასალების ხარჯი	240	240	240	
	მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენა და დამონტაჟება (ცეცხმაქრის დამუხტვის ხარჯი)	70	68	68	
	საწვავ საპოხი მასალების ხარჯი (ანტიფრიზი)	1000	850	850	
	კულტურული ღონისძიების ხარჯი	865	319	319	
	ტრანსპორტის დაქირავების ხარჯი	700	850	850	ღონისძ.ხარჯი დან-150 ლ.
	სხვა ხარჯი (112-ის მომსახურეობა)	80	43.2	43.2	
	არაფინანსური აქტივები	700	676.85	676.85	
	საკუთარი შემოსავალი	3750	2474	2474	
	წლის დასაწყისის ნაშთი	748.11			გაწერ.ელექ. ბიუჯეტში.07.03.2022წ #17 ბრძანება
	საკანცელარიო, საწერ-სახაზავი ქაღალდის, საბუღალტრო ბლანკების, ბიულეტინების, საკანცელარიო წიგნების და სხვა ანალოგიური მასალების შეძენა.	500	500	500	
	სასტამბო ხარჯი	300	300	300	
	მცირე ფასიანი საოფ. ტექნ. შეძენის ხარჯი (კატრიჯის დამუხტვა)	120	60	60	
	ოფისისათვის სანიტარ.საგნების ხარჯი	300	0	0	
	შენობა ნაგებობის რემონტის ხარჯი	1568	0	0	
	საოფისე მანქანების მოვლა შენახვა	200	0	0	
	ოფისის ხარჯ.რომელიც არ არის კლასიფიცირ. (სამეურნ.ხარჯი)	350	350	350	
	წარმომადგენლობითი ხარჯი	600	520	520	
	ტრანსპორტის დაქირავების ხარჯი	500	0	0	
	სხვა ხარჯი	60	0	0	
	ნაშთი 01.01.2023 წლის მდგომარეობით			1492.11	

სამხატვრო სკოლის დირექტორი:/ნ.დოხნაძე/

ბუღალტერი: /დ.ქემოკლიძე/